წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

განკარგულება:**გ-119. 11924198001**

თარიღი:**16/07/2024**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი წალკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან დასაფინანსებელი წალკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი შემდეგი პროექტების ინიცირების მიზნით მოწონებულ იქნას წალკის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წლის 12 ივლისის #118-1182419415 წერილით წარმოდგენილი საპროექტო წინადადებები:

ა) სოფ. არ-სარვანში ჭაბურღილის, რეზერვუარისა და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები;

ბ) სოფ. ახალშენის ჭაბურღილის და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები;

გ) ქ. წალკაში ცენტრალური სტადიონის ტრიბუნების მოწყობის სამუშაოები;

დ) ქ. წალკაში ორი მდინარის კალაპოტის გაწმენდის სამუშაოები;

ე) წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა;

ვ) წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში მინი მოედანზე განათების მოწყობა.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი